ხონის მუნიციპალიტეტის მერის
2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი

მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია საქმიანობას წარმართავდა საქართველოს კონსტიტუციის, ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო ორგანოებთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებდა 9 სტრუქტურული ერთეული.

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობდა 79 საჯარო მოხელე. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებდა 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს.

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადებული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა შესარჩევი ორი კონკურსი.

მერიის მიერ გამოცხადებული ვაკანტურ ადგილებთან დაკავშირებით კონკურსის განთავსება ხორციელდებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ - გვერდის მეშვეობით.

საკონკურსო საატესტაციო კომისიამ მერს დასანიშნად წარუდგინა 5 კანდიდატი.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე უზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2023 წლის განმავლობაში შემოსული იყო 8 222 წერილი და კორესპოდენცია. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში უზრუნველყვეს მათზე რეაგირება, წერილების დაგზავნა, პასუხების მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მერიაში საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2023 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 61 განცხადება, პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა. ასევე წარმატებით მუშაობდა facebook გვერდი.

2023 წელს მუშაობას განაგრძობდა მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება 11 წევრისაგან. წლის განმავლობაში ჩატარდა ორი სხდომა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განხილულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2024 წლის პროექტი

შიდა აუდიტისა და კონტროლის სფერო

2023 წელს აუდიტის სამსახური მუშაობას წარმართავდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული, რისკ ფაქტორების შეფასების საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიული და წლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად, რომლებიც მიზნად ისახავდა მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურდიული პირების (ა(ა)იპ-ის) საქმიანობის შესწავლასა და ანალიზს.

2023 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო ოთხი აუდიტორული ობიექტის შემოწმება და წლის განმავლობაში ოთხივე ობიექტში განხორციელებული იქნა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმებები.

ეს ობიექტებია:

- ა(ა)იპ-ი ,,სამუსიკო სკოლა''
- ა(ა)იპ-ი ,,მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი''
- ა(ა)იპ-ი ,,კომუნალური სერვის ცენტრი''
- ა(ა)იპ-ი ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი''

აუდიტორული შემოწმების მიზანია, გამოვლენილი იქნას აუდიტის ობიექტის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის დროს დაშვებული დარღვევები, შეფასებული იქნას რისკები და დარღვევების გამოსწორების მიზნით გაცემული იქნას რეკომენდაციები, რომელთა დროული მოგვარება ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის დირექციას მათ წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ 2024 წელს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, რაც კიდევ უფრო დაეხმარება აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელობას მათ წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში და მინიმუმამდე დაიყვანს მათი მხრიდან მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევებს.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N24 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა განისაზღვრა 10821.6 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 225,0 ათასი ლარი, გადასახადები 9 117,1 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 385,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 1094,5 ათასი ლარი. გადასახდელები 10821,6 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, შემოსულობები განისაზღვრა 18511,4 ათასი ლარი. გადასახადები 9307,6 ათასი ლარი, გრანტები 7774,3 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 479,5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი 950,0 ათასი ლარი.

2023 წელს ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 18 788,1 ათასი ლარი. გეგმის 101,49%. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 9406,344 ათასი ლარი, რაც გეგმის 101,06 %-ა, გრანტებიდან მიღებული შემოსავალმა 8444,101 ათასი ლარი, რაც გეგმის 108,61 %-ა, სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 517,77 ათასი ლარი, რაც გეგმის 107,98%-ა, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 419,858 ათასი ლარი რაც გეგმის 44,2 %-ა.

გადასახდელები

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 20 094,0 ათას ლარს.

- ❖ ხარჯები 12,422,48 ათასი ლარი მათ შორის:
- ✓ შრომის ანაზღაურება 2502,5 ათასი ლარი,
- ✓ საქონელი და მომსახურება 2525,5 ათასი ლარი,
- ✓ პროცენტი 28,6 ათასი ლარი,
- ✓ სუბსიდიები 5572,68 ათასი ლარი,
- ✓ გრანტები 13,0 ათასი ლარი,
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 944,31 ათასი ლარი,
- ✓ სხვა ხარჯები 835,89 ათასი ლარი.
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 7620,12 ათასი ლარი,
- ❖ ვალდებულების კლება 51,4 ათასი ლარი.

2023 წელს გაწეულმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 18199,68 ათასი ლარი:

- ❖ ხარჯები 11848,47 ათასი ლარი , გეგმის 95,0% :
- ✓ შრომის ანაზღაურება 2450,59 ათასი ლარი, გეგმის 98.0 %
- ✓ საქონელი და მომსახურება 2326,94 ათასი ლარი, გეგმის 92.0%
- ✓ სუბსიდიები 5531,04 ათასი ლარი, გეგმის 99.0 %
- ✓ პროცენტი 18,759 ათასი ლარი, გეგმა 66,0%
- ✓ გრანტები 13.0, ათასი ლარი, გეგმის 100,0%
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 786,18 ათასი ლარი, გეგმის 83,0 %
- ✓ სხვა ხარჯები 721,95 ათასი ლარი. გეგმის 86.0 %
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 6299,86 ათასი ლარი, გეგმის 83,0 %
- ❖ ვალდებულების კლება 51.34 ათასი ლარი. 100%

სახელმწიფო შესყიდვები

ინფორმაცია 2023 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

2023 წელს სულ გამოცხადდა 70 ელექტრონული ტენდერი.

შედგა - 58 ელექტრონული ტენდერი, აქედან:

35 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 27 - რგფ; 8 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;

6 - ევროკავშირიდან მიღებული გრანტი. პროგრამა: მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება".

17 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით.

არ შედგა - 5 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა დააფიქსირა სავარაუდო ღირებულება.

უარყოფითი შედეგით დასრულდა - 4 ელ. ტენდერი.

შეწყდა - 3 ელ. ტენდერი.

გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 193 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;

მონეტარული ზღვრის დაცვით - 95

სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 10

ექსკლუზივი - 4

წარმომადგენლობითი ხარჯები - 53

ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 7

დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 12

გადაუდებელი აუცილებლობა - 12

კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 41 ხელშეკრულება.

დაჯარიმებული იქნა 30 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 164584.88 ლარის ოდენობით:

სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2023 წელს განისაზღვრა 70,0 ათასი ლარით. საკასო ხარჯი 66.4 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა 5 ოჯახი ჯამში 8000 ლარით, რომლებსაც სტიქიური უბედურების (ხანძარი) შედეგად დაუზიანდა ან/და გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი, ან სათავსო ნაგებობები. 2000.0 ლარით დაფინანსდა სოციალურად გაჭირვებული მოქალაქე, რომელის საცხოვრებელი სახლი დაზიანების

გამო იყო უმძიმეს მდგომარეობაში. გაწეული დახმარებით განხორციელდა საცხოვრისის რეაბილიტაცია. სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 113-ზე მეტ მოქალაქეს დაუფინანსდა სამედიცინო მომსახურების ხარჯები ნაწილობრივივ ან სრულად. ჯამური თანხით 50,98 ათასი ლარით. უპატრონო მიცვალებულების ან სოციალურად გაჭირვებული ოჯახებში გარდაცვლილი ოჯახის წევრის სარიტუალო ხარჯების დასაფიანსებლად 2300,0 ლარი (5 მომართვა). უსახკარო ადამიანების დროებით საცხოვრებელ ბინაში განთავსებისთვის 3120 ლარი (სამი ოჯახი).

2023 წელს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

#	დასახელება	ათასი ლარი
	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი	**954,0**
	ააიპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური	**175,55**
	ააიპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	**2055,0**
	ააიპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი	**156,0**
	ააიპ ხონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი	**81,8**
	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	**212,7**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	**345,6**
	ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა	**160,4**
	ააიპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	**301,7**
	ააიპ ხონის კულტურის ცენტრი	**236,0**
	ააიპ ხონის სამხატვრო სკოლა	**78,5**
	ააიპ ხონის ისტორიული მუზეუმი	**90,0**
	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი	**41,8**
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახური	**153,5**
	ააიპ მადლიერების სახლი	**146,4**
	ა(ა)იპ სათნოების სახლი	**158,0**

ინფრასტრუქტურის სფერო

2023 წელს სულ ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 87 პროექტი ღირებულებით 4 834 313 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის #23 დადგენილების შესაბამისად, 2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 13 პროექტი (დანართი #1). ღირებულებით -3 939 886 ლარი. მოწესრიგდა სოფლებში: გორდში, დედალაურში, ივანდიდში, გუბში, მათხოჯში, კუხში, საწულუკიძოში და ქალაქ ხონში ჭანტურიასა და კაკაბაძის ქუჩები საერთო სიგრძით - 16.817 კმ. სახელდობრ:

1. ხონის მუნიციპალიტეტში, გორდის ადმინისტრაციულ ერთეულის ვიზიტორთა სახლიდან გამშვებ პუნქტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია

2. ქალაქის ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მოწყობა

3. სოფელ დედალაურში სიცილიის დასახლებაში გზის მოასფალტება

4. სოფელ ივანდიდში მე-2 ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება

5. სოფელ გუბში მე-8-ე ქუჩის, შესახვევისა და ჩიხის მოასფალტება

6. სოფელ გუბში მე-18-ე ქუჩის მოასფალტება

7. სოფელ გორდში კირთაძეებისა და ჩიქოვანების უბანში გზის რეაბილიტაცია

8. ქ. ხონში, ჭანტურიას და პ.კაკაბაძის ქუჩების რეაბილიტაცია (ქალაქის ცენტრი)

9. სოფელ ივანდიდში მე-9 ქუჩის პირველი შესახვევი, მე-10 და მე-11 ქუჩის მოასფალტება

10. სოფელ ივანდიდში მე-15 ქუჩის რეაბილიტაციის დასრულება

11. სოფ. კუხში მე-4 ქუჩის მოასფალტება

12. სოფ. მათხოჯში მე-10,მე-17,მე-18 ქუჩების მოასფალტება

13. სოფ. საწულუკიძეოში შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის მოასფალტება

ბოლო ორი პროექტი სოფ. მათხოჯში მე-10,მე-17,მე-18 ქუჩების მოასფალტება და სოფ. საწულუკიძეოში შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის მოასფალტება გარდამავალი იყო და წელს დასრულდება.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლი 29 დეკემბრის #2476 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში 2023 წელს გამოყოფილი თანხიდან განხორციელდა 56 პროექტი, ღირებულებით - 458 702 ლარი. სოფლებში მოეწყო გარე განათების სისტემები, კეთილმოეწყო შიდა სასოფლო გზები, სკვერები, სპორტული მოედნები და განხორციელდა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები (დანართი #2). სახელდობრ:

1. სოფელ ზედა გორდში კითაძეების უბანში სასმელი წყლის პოლიეთილენის მილების შეძენა

2. სოფელ ზედა გორდში ე. წ. „ყელოფის“ უბანში გარე განათების სისტემის მოწყობა

3. სკოლასთან და საბავშვო ბაღთან მისასვლელი კიბის მოწყობის გაგრძელება

4. სოფელ ბანგვეთში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობის გაგრძელება

5. სოფელ გამოღმა ნოღაში სასმელი წყლის პოლიეთილენის მილებისა და ავზის შეძენა

6. სოფ. გამოღმა ნოღაში, შესასვლელში, გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება (6 წერტილი)

7. სოფ. გაღმა ნოღაში ჯურხაძეების უბანში პრობლემურ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა (2.5მ-იანი)

8. სოფელ ქვედა გორდში, ზერაგიების უბანში გზის მოხრეშვა, ხიდ-ბოგირის მოწყობა, ქვის გაბიონის მოწყობა ყორე-ქვითა და სანათების მოწყობა ხიდებთან (ორი ლამპიონი)

9. სოფ. გოჩა ჯიხაიშში ბიბლიოთეკისა და მიმდებარე სივრცის რეაბილიტაცია

10. სოფ. გოჩა ჯიხაიშში ბიბლიოთეკისა და მიმდებარე სივრცის რეაბილიტაცია

11. სოფელ შუა გუბში სკვერის მოწყობა-გაკეთება

12. სოფელ შუა გუბში სასაფლაოს უკანა მხარის შემოღობვა

13. სოფელ დიდ გუბში ე. წ. ბარბაცაში ხიდ-ბოგირის მოწყობა და სანიაღვრე არხების გაწმენდა

14. სოფელ დიდ გუბში ე. წ. ეძგვერაძეების უბანში არსებული არხის გაწმენდა და 100 მეტრი სიგრძის ახალი არხის გაჭრა

15. სოფელ დიდ გუბში ვაშაკიძეების უბანში არსებულ ორ ხიდზე სიგრძის მიმატება (პირველზე-1მ და მეორეზე -2მ), ორივე ხიდის მოხრეშვა

16. სოფელ ქვედა გორდში წისქვილის სათავე ნაგებობის მოწყობა

17. სოფელ დიდ გუბში კვეტენაძეების უბანში არსებული არხის გაწმენდა

18. სოფელ დიდ გუბში ფრენბურთის მოედანზე ორი ცალი რკინის ბოძის დასმა, ფრენბურთის ბადისა და ბურთის შეძენა

19. სოფელი პატარა გუბში გარე განათების სისტემის მოწყობა, რაზმაძეების უბანში გზის მოხრეშვა, ხეების ჩამოკაფვა

20. სოფელ დედალაურში გარე განათების სისტემის მოწყობა

21. სოფელ ბესიაურში ბეტონის გზის საფარის მოწყობა

22. გზის მოწყობა სოფელ ჩუნეში

23. სოფელ ივანდიდის ცენტრში მდებარე საფეხბურთო სტადიონის გვერდით მინი სტადიონის შერაგვა-მოწყობა

24. სოფელ ქვედა კინჩხაში მეძველიების უბანში გზის მოხრეშვა

25. სოფელ ქვედა კინჩხაში ჯანელიძეების უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობა და ნაწილი გზის გასწორება-მოხრეშვა

26. სოფელ ზედა კინჩხაში გედენიძეების პირველ უბანში გზის გასწორება -მოხრეშვა და ცენტრალურ გზაზე 80 გრძ/მ არხის მოწყობა

27. სოფელ კინჩხაფერდში სასმელი წყლის მილების შეძენა

28. სოფელ რონდიშში მისასვლელი გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა

29. სოფელ საწისქვილოში მინი სტადიონისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა

30. სოფ. დიდ კუხში #7, #8, #9 და #10 ქუჩების გადაკვეთაზე სკვერის მოწყობა

31. სოფ. დიდ კუხში გორდაძეების უბანში სკვერის მოწყობა.

32. სოფ. ახალშენში ფრანგების უბანში სასაფლაოს შემორაგვა

33. სოფ. ახალშენში სვანების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა

34. სოფ. ახალშენში ნამაშევის უბანში ბოგირისა და გარე განათების მოწყობა

35. სოფ. პატარა კუხში არსებული სტადიონის რეაბილიტაცია.

36. სოფ. პატარა კუხში არსებულ სკვერში ტრენაჟორების მოწყობა.

37. სოფელ მათხოჯში გარე განათების მოწყობა პირველი, მესამე, მეოთხე, მეთოთხმეტე ქუჩის მეორე ჩიხი, მეთოთხმეტე ქუჩის მეოთხე ჩიხი, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე ქუჩები

38. ფილიებში მისასვლელ გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა

39. სოფ. სუხჩაში სასაფლაოს შემოღობვა და სასმელი წყლის მილების შეცვლა კლუბის ცენტრში

40. სოფელ ხიდზე გარე განათების მოწყობა

41. სოფელ ხიდზე სასაფლაოს შემოღობვა

42. სოფელ დიდღვაბუნაში მისასვლელი გზის მოწყობა

43. სოფელ ნახახულევში სამედიცინო ამბულატორიის რეაბილიტაცია

44. სოფელ ახალბედისეულში, თხილარას უბანში სპოტული მოედნის მოწყობა

45. სოფელ კონტუათში რუხაძეების უბანში არსებული სკვერის მოწყობა

46. სოფელ საწულუკიძეოში ცენტრალურ სკვერში განათების, ატრაქციონისა და მინი სტადიონზე განათების სისტემის მოწყობა

47. სოფელ უძლოურში 2022 წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში შეძენილი მილების მონტაჟი

48. სოფ. ქუტირის ცენტრში მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაცია

49. სოფელ პატარა ჯიხაიშში გარე განათების სისტემის მოწყობის გაგრძელება

50. სოფელ ძეძილეთში ბეტონის გზის მოწყობა

51. სოფელ გელავერში გარე განათების სისტემის მოწყობა

52. სოფელ გვაშტიბში ბეტონის გზის მოწყობა

53. სოფელ ღვედში სასაფლაოს მიმართულებით ბეტონის გზის მოწყობა

54. სოფ. ქუტირის ცენტრში მდებარე მინი სტადიონის რეაბილიტაცია

55. 1.სოფ. საწულუკიძეოს სკოლისთვის 2ც ძელსკამის შეძენა; 2.სოფ. ძეძილეთის ამბულატორიისა და ბიბლიოთეკის ეზოს შემოღობვისთვის უჟანგავი მავთულბადის 4 მმ-იანი 75გრძ/მ სიმაღლით 1.5 მშეძენა; 3. სოფ. მათხოჯში მდებარე სკვერის შემოღობვისათვის მავთულბადის 32გრძ/მ 4მმ-იანი 1.5მეტრი შეძენა; 4.სოფ. გამოღმა ნოღისთვის ერთი ერთეული ორშრიანი 1000 ლიტრიანი წყლის ავზის შეძენა

56. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ უძლოურში შეძენილი წყლის მილების მოწყობა

ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა ერთი პროექტი სახელმწიფო დროშის მოწყობა, ღირებულებით 19 475 ლარი (დანართი #3).

2023 წელს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის #302 განკარგულების შესაბამისად შესრულებული იქნა 436 712 ლარის სამუშაოები (დანართი #4). სახელდობრ:

1. 2023 წლის სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი, დიდთოვლობა) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო და კერძო საცხოვრებელი სახლების აღსადგენად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2. სტიქიის შედეგად დაზიანებული შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი და კერძო საცხოვრებელი სახლებისა და ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის თუნუქის სახურავისა და ხის მასალის შეძენა.

3. სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა (ბაგრატიონის N11, ბაგრატიონის N13, გურამიშვილის N32) და საბავშვო ბაღების (ქ.ხონის მე-3, ივანდიდი, კუხი) სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები

4. დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: 1.ქალაქ ხონში, ჭანტურიას ქ. N38-ში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია. 2. ქალაქ ხონში, ჭანტურიას ქ. N41-ში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

5. დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: 1. ხონის მუნიციპალიტეტში, სოფელ გოჩა ჯიხაიშის საბავშო ბაღის სახურავის რეაბილიტაცია. 2. ქალაქ ხონში, ჭანტურიას ქ. N43-ში საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

6. სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ირ. აბაშიძის სახლ-მუზეუმისა და ქ.ხონის სტადიონზე არსებული შენობის სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები

7. სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები

8. სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: 1. ქალაქ ხონში, სოლომონ მეორის ქუჩა N5–ში საცხოვრებელი შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

9. სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები:ქალაქ ხონში, ჭავჭავაძის ქუჩა N2–ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია.

10. სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: 1. ქ. ხონში კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია. 1. ხონის მუნიციპლიტეტს საკრებულოს შენობის სახურავის რეაბილიტაცია. 2. ქალაქ ხონში, სოლომონ მეორის ქუჩა N7–ში საცხოვრებელი შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

11. სტიქიური მოვლენების (ძლიერი ქარი) შედეგების სალიკვიდაციოდ, დაზიანებული სახელმწიფო ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: ქალაქ ხონში, თავისუფლების ქუჩა N12–ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

12. დედალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჩაის მეურნეობის მე-2 უბანში #6 ოთხბინიანი საცხ. სახლის სახურავის რეაბილიტაცია

13. ნახახულევის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ახალბედისეულში გივი კაკაურიძის სახლის სახურავის რეაბილიტაცია

14. კინჩხისა და ქუტირის ადმ. ერთეულებში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სახურავების შეძენა

15. ხონის მადლიერების სახლის სახურავის სრული, ჭერისა და კედლების ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები

16. ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ კონტუათში, ცენტრალური სასაფლაოს მიმდებარედ, სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები.

17. სტიქიის შედეგად დაზიანებული ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის ცენტრის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები

18. დევნილთა დასახლების მიმდებარედ სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდ-ბოგირის მოწყობა

2023 წელს მიმდინარეობდა მუშაობა 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასა და შერჩევაზე.

ეკონომიკის სფერო

2023 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	**მისამართი და საკადასტრო კოდი**	**შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)**	**არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)**
1.	ხონი,ჭავჭავაძის ქუჩა (ს/კ 37.07.38.946)	N1	6.0
2.	სოფელი კინჩხა (ს/კ 37.01.32.789)	---	100.0
3.	სოფელი ხიდი (ს/კ 37.04.36.039)	----	2586.0
4.	ხონი, კაკაბაძის ქ. N13-ის მიმდ. (ს/კ 37.07.38.945)	N1	311.0
5.	ხონი, ჭავჭავაძის ქუჩა (ს/კ 37.07.38.967)	---	3.0
6.	ხონი, სოლომონ მე-2 ქ (ს/კ 37.07.38.976)	---	129.0
7.	ხონი,ჭავჭავაძის ქ. N3-ის მიმდ. (ს/კ 37.07.38.981)	N1	47.0
8.	ხონი, კაკაბაძის ქ. N13-ის მიმდ.	---	43.0

	(ს/კ 37.07.38.959)		
9.	ხონი, აფხაზეთის ქუჩა (ს/კ 37.07.39.414)	---	2735.0
10.	ხონი, რუსთაველის ქუჩა (ს/კ 37.07.38.)	---	12.0
11.	ხონი, რუსთაველის N2-ის მიმდ (ს/კ 37.07.38.991)	---	1798.0
12.	ხონი, კაკაბაძის ქუჩა (ს/კ 37.07.38.994)	N1	52.0

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია შემდეგი გარე განათების სისტემები (ხაზოვანი ნაგებობა)

N	**მისამართი და საკადასტრო კოდი**	**რაოდენობა (ცალი)**	**გრძივი მეტრი**
1.	სოფელი ქუტირი (ს/კ 37.00.368)	34	1289.1

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია სოფლის სტადიონი

N	**მისამართი და საკადასტრო კოდი**	**შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)**	**არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)**
1.	სოფელი გოჩა ჯიხაიში (ს/კ 37.11.32.287)	---	7545.0

2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებულია სოფლის სასაფლაო

N	**მისამართი და საკადასტრო კოდი**	**შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)**	**არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)**
1.	სოფელი გელავერი (ს/კ 37.03.32.445)	---	6530.0

როგორც მოგეხსენებათ ,,2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ,,პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა-სოფლის ექიმი“ რომლის განმახორციელებლად განისაზღვრა ა(ა)იპ- საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხონის მუნიციპალიტეტში მდებარე ამბულატორიები გადავეცით სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში ა(ა)იპ- საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის სიმბოლურ ფასად 1 ლარად მიყიდვის მიზნით. პირველ ეტაპზე გადავეცით ამბულატორიები, რომლებიც უფლებრივად უნაკლო იყო. მეორე ეტაპზე გადაეცა ის ამბულატორიები, რომლებიც განთავსებულია ადმინისტრაციულ შენობებში. სულ 14 ამბულატორია

2022-2023 წელს სახელმწიფოს გადავეცით ხონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ამბულატორიები

N	მისამართი	საკადასტრო კოდი	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	შენობა-ნაგებობა
1.	სოფ. გორდი	37.02.31.045	809.0 კვ.მ	N01-156.2 კვ.მ
2.	სოფ. გუბი	37.12.31.034	561.0 კვ.მ	N01-142.4 კვ.მ
3.	სოფ. ივანდიდი	37.08.35.063	615.0 კვ.მ	N01-151.7 კვ.მ
4.	სოფ. საწულუკიძეო	37.05.37.099	256.0 კვ.მ	N1-45.4 კვ.მ
5.	სოფ.ახალბედისეული	37.05.40.110	581.0 კვ.მ	N1
6.	სოფ. ქუტირი	37.10.38.042	671.0 კვ.მ	N01-99.5 კვ.მ
7.	სოფ. მათხოჯი	37.04.33.024	478.0 კვ.მ	N01-137.3 კვ.მ
8.	სოფ. დედალაური	37.06.34.006	759.0 კვ.მ	N01-158.6 კვ.მ
9.	სოფ. ნახახულევი	37.05.32.715.01.500	29.50 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
10.	სოფ. კუხი	37.09.36.238.01.503	62.72 კვ.მ	ადმ. შენობის II სართული
11.	სოფ. გოჩა ჯიხაიში	37.11.32.205.01.502	20.55 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
12.	სოფ. ძეძილეთი	37.03.32.038.01.500	29.20 კვ.მ	ადმ. შენობის I სართული
13.	სოფ. კონტუათი	37.05.34.230.01.500	23.86 კვ.მ	კლუბის შენობის I სართული
14	სოფ. კინჩხა	37.01.32.186	252.0 კვ.მ	

2023 წელს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)

1.	ა(ა)იპ ,,იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი“ ს/ნ 244969646	პ.კაკაბაძის ქ. N15 ს/კ 37.07.38.017	871.63	1447552.0 ლარი	არსებობის ვადით
2.	ა(ა)იპ ,,იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი“ ს/ნ 244969646	სოფელი გუბი ს/კ 37.12.31.392	646 კვ.მ	268719.0 ლარი	5
3	ა(ა)იპ ,,ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური“ ს/ნ 205309637	პ. კაკაბაძის ქ. N17 ს/კ 37.07.38.618.01.518	16.3 კვ.მ	8700.0 ლარი	5

2023 წელს ელექტრონული აუქციონის წესით იჯარით გავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული შემდეგი უძრავი ქონება

N	**საიჯარო ობიექტი**	**მისამართი**	**ფართობი კვ.მ**	**საიჯარო ღირებულება (წლიური)**	**სარგებლობის ვადა (წელი)**
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	პ. კაკაბაძის ქუჩა ს/კ 37.07.38.702	10.0	2200.0 ლარი	5
2	არასასოფლო-სამეურნეოდანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა ნაგებობა N1	პ. კაკაბაძის ქუჩა ს/კ 37.07.38.508	81.0	3850.0 ლარი	5
3	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ნახახულევი ს/კ 37.05.39.009	97427.0	5500.0 ლარი	20
4	შენობის პირველ სართულზე არასაცხოვრებელი ფართი	შამათავას ქ. N10 ს/კ 37.07.38.443.01.501	43.35	3443.0 ლარი	5

2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის შესაბამისად ელექტრონული აუქციონის წესით განვახორციელეთ შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება

N	დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი	შენობა-ნაგებობა	საპრივატიზებო ღირებულება ლარი
1.	**ჭავჭავაძის ქ. N3-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.839	25.0 კვ.მ	-----	3700.0
2.	**რუსთაველის ქ. N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.509	184.0 კვ.მ	-----	22000.0
3.	**პ. კაკაბაძის ქუჩზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.444	260.0 კვ.მ	-----	28600.0
4.	**ჭავჭვაძის ქუჩზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.946	6.0 კვ.მ	N1	2090.0
5.	**მოსე ხონელის ქ. N40** მდებარე N1 შენობა-ნაგებობის დემონტჟი	37.07.38.850	------	N1	5924.0
6.	**მოსე ხონელის ქ. N40** მდებარე N03/2 შენობა-ნაგებობის დემონტჟი	37.07.38.849	-----	N03/2	6000.0
7.	**სოფ. ხიდში** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა N1,2	37.04.31.971	281.0 კვ.მ	N1, N2	33440.0
8.	**ჭავჭვაძის ქუჩა N3** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.981	47.0 კვ.მ	N1	8470.0
9.	**სოლომონ მე-2 ქ. N21-ში** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.984	36.0 კვ.მ	----	1430.0
10.	**ჭავჭვაძის ქ. ჩიხი 1, N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.33.414	568.0	ნანგრევი	12540.0

2023 წლის სექტემბრის მდგომარეობით გაიჯარებული და პრივატიზებული ქონებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულია-139 187 ლარი

ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს შეიმუშვა და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი 2020-2030წ. მიმდინარეობს დოკუმენტში დასახული მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი შესრულება. სამუშაოების მონიტორინგს ახორციელებს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახური, მონიტორინგის ყოველწლიურ ანგარიშს შემდგომ განსახილველად წარუდგენს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

მერია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურ მუშაობას ახორციელებდა ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით, ორგანიზებას უწევდა სხვადასხვა არსასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს საჯარო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ასევე ხელმძღვანელობდა გარემოს დაცვით ღონისძიებებს-მათ შორის დასუფთავების აქციებს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლის გეგმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამუშაოები. სამსახური ასევე მუშაობს მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 5 ფიზიკურ პირს.

როგორც ცნობილია დაიწყო სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომელის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის პირს შეუძლია 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე. აღნიშნულ პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახის მომსახურეობას (ვაკანსიის მოძიება, მონიტორინგი, დოკუმენტაციის ატვირთვა და ა.შ) ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის სპეციალისტები ახორციელებენ.

2023 წლის განმავლობაში სხვადასხვა ვაკანსიაზე დასაქმებული იყო 283 ადამიანი, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი, მოთხოვნის შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

ზედამხედველობის სფერო

2023 წლის ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ჩატარადა აქტიური მუშაობა, სხვადასხვა სახის მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 76472 (სამოცდათექვსმეტიათას ოთხასსამოცდათორმეტი) ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შედაგენს 39409 (ოცდაცხრამეტიათას ოთხასცხრა) ლარს. საიჯარო ობიექტების ქირა 22023 (ოცდაორიათას ოცდასამი) ლარია და მიწათსარგებლობის იჯარა 15040 (თხუთმეტიათას ორმოცი) ლარი.

გასულ წელს შემოვიდა 18 (თვრამეტი) განაცხადი, ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე. ექსპლუატაციაში მიღებულია თვრამეტივე შენობა-ნაგებობა.

საანგარიშო წლის განმავლობაში ფარულ სამუშაოებზე ზედამხედველობა გაეწია შემდეგი სახის პროექტებს:

2022-2023 წლების გარდამავლ პროექტების გზების მოასფალტებას სოფლებში; სოფ. ვანდიდში მე-2, მე-9, მე-10, მე-11, მე-15 ქუჩაზე და სოფ. დედალაურში სიცილიის უბანში,სოფ საწულუკიძეოში შათირიშვილების და დარსაველიძეების უბანში, სოფ. გორდში, სოფ. ძეძილეთში და სოფ. ღვედში გზების მოასფალტების სამუშაოებს. სოფ. გორდის ადმინისტრაციულ ერთეულის ვიზიტორთა სახლიდან გამშვებ პუნქტამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშოებს. სოფ. კონტუათში ცენტრალური სასაფლაოს მიმდებარედ მოწყობილ სანიაღვრე არხის სამუშაოებს. სოფ. დედალაურში ე.წ მეორე ზონაში ლითონის საფეხმავლო ხიდის, ბონდის ხიდის და გველესიანების უბანში საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სოფ. ზედა გორდში, სოფ. ახალშენში, სოფ. პატარა ჯიხაიშში, სოფ. პატარა გუბში, სოფ. გელავერში, გარე განათების მოწყობის სამუშაოებს. სოფ.ივანდიდში და სოფ. ახალბედისეულში თხილარას უბანში სტადიონის და სოფ. დიდი გუბში ფრენბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოებს. სოფ. კონტუათში, სოფ. საწულუკიძეოში სოფ. შუა გუბში და სოფ. დიდი კუხში სკვერების მოწყობის სამუშაოებს. სტიქიის შედეგად დაზიანებული დედალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჩაისმეურნეობის მეორე უბანში N6-ში ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის საერაბილიტაციო სამუშაობს. ქ. ხონში, მადლიერების სახლის სახურავის, ჭერისა და კედლების ნაწილობრივ საერაბილიტაციო სამუშაოებს. ქ. ხონში, საზოგადოებრივი საპირფარეშოს მშენებლობის სამუშაოებს.

სანებართვო პირობებისა და უნებართვო მშენებლობისთვის დაჯარიმდა ერთი ფიზიკური პირი ჯარიმის თანხამ შეადგინა 4000. 00 (ოთხი ათასი) ლარი.

სოციალური სფერო

- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი უფასო სასადილო: ა(ა)იპ სათნოების სახლი და ა(ა)იპ მადლიერების სახლი,სადაც ბენეფიციარები ყოველდღიურად ღებულობს სადილს. ა(ა)იპ ,,მადლიერები სახლი''(საშტატო ნუსხა შეადგენს11 ერთეულს) სასადილო ემსახურება 130 ბენეფიციარს. 2023 წელს დაიხარჯა 146232-ლარი. ა(ა)იპ სათნოების სახლი (საშტატო ნუსხა შეადგენს 10 ერთეულს) სასადილო ემსახურება 140 ბენეფიციარს . 2023წელს დაიხარჯა 157906ლარი.

- ასევე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ,,C''ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რის შედეგად დღესაც გრძელდება ბენეფიციარების სკრინინგი. ხოლო C ჰეპატიტით

დაავადებული პაციენტები, მერიის დაფინანსებით ერთვებიან სახელმწიფო პროგრამაში , შესაბამისი მკურნალობის მისაღებად. ასევე სოციალური სამსახურის აქტიური მუშაობით 2023 წელს ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ სტატუსის მქონე 28- ბენეფიციარს ,,ელდი ეს ჩერითი''-ს ჰუმანიტატულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით გადაეცა სამედიცინო ეტლები. ამჟამად აქტიურად ვაგრძელებთ აღნიშნული საკითხის განხორციელებას და დღეისათვის სოციალურ სამსახურში არსებობს შშმ სტატუსის და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა (სამედიცინო ეტლის მოსარგებლე ბენეფიციართა) ერთიანი ბაზა. სამსახურის უფროსი სპეციალისტის მიერ ხდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ვიზიტი, მათი მონაცემების შეგროვება და შემდგომ ეტლების გადაცემა. ასევე ვმუშაობთ უსახლკაროთა ბაზის ფორმირების საკითხზე

- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის და შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით ა(ა)იპ ,,სათნოების სახლ''-ში 2017 წლიდან ფუნქციონირებს სოციალური სამრეცხაო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს დღემდე.

- საანგარიშო პერიოდში ხორციელდება ხონის ტერიტორიაზე მცხოვრები 65001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, ომის ვეტერანების და ლტოლვილების კომუნალური გადასახადების შეღავათები: საკანალიზაციო და წყალმომარაგების. სასმელ წყალზე სულზე 1 ლარი და კანალიზაციის შემთხვევაში 1,3 ლარი. აღნიშნულზე დაიხარჯა 29240ლარი.

- სოციალურად შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციართა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება, რომელთაც სოციალური სააგენტოს მოკვლევის შედეგად მიენიჭა 65001-დან 90001-მდე სარეიტინგო ქულა. დახმარება გაეწია სულ 480ოჯახს ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით, სულ დაიხარჯა 48000 ლარი. 2023წელს ერთჯერადი ფულად დახმარებაზე სულ შემოსული იყო 485 განცხადება, აქედან უარი ეთქვა 5-ბენეფიციარს განმეორებითი განცხადების შემოტანის გამო.

- ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება 250 -ლარის ოდენობით .დახმარება გაეწია 1- ბენეფიციარს და დაიხარჯა 750-ლარი 2023 წელს ერთჯერადი სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება და თანადაფინანსების დახმარება გაეწია 1316 ბენეფიციარს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 242994-ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, აღნიშნული დახმარება გაეწია 31- ბავშვს, რაზეც დაიხარჯა 6200-ლარი.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გონებრივი ჩამორჩენილობის, ცერემბრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბენეფიციართა დახმარება 18 წლის ზემოთ,ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გაეწია 104- ბენეფიციარს, სულ დაიხარჯა 20800-ლარი.

- აღნიშნულ საკითხზე მოგახსენებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველონბის კოდექსი''-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,უ"ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტრის ,54- ე მუხლის პირველი პუნქტრის ,,ე.ე და ,,ე.ვ ქვეპუნქტების 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა''ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 62-ე მუხლის საქართველოს კანონის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ,,54-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის'' შესახებ საქართველოს კანონის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის N24-ე დადგენილების საფუძველზე ხონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო. საბჭოში ჩართულია 4 შშმ სტატუსის მქონე პირი.

- სოციალური სამსახურის ინიციატივით შშმ სტატუსის პირებს ჩაუტარდა ტრენინგ- სემინარები, თემაზე მათი უფლება-მოვალეობების შესახებ და საზოგადოებაში ჩართულობის შესახებ. ასევე სოციალური სამსახურის ხელშეწყობით განხორციელდა სპორტული ღონისძიებები(შაში,ჭადრაკი,ნარდი) სადაც გამარჯვებული პირები დაჯილდოვებული იქნა სხვადასხვა სახის პრიზებით და სიგელებით.

- მრავალშვილიანი (18 წლამდე 4 და მეტი ბავშვი) ოჯახის დახმარება, ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა ერთ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. აღნიშნული დახმარება 2023- წელს გაეწია 52ოჯახს(221- ბავშვი)

გაიცა 11050- ლარი.

- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება - თითეულ ბავშვზე 200
- ლარის ოდენობით 2023წელს დახმარება გაეწია 39- მშობელს (59 ბავშვი) , რაზეც დაიხარჯა 11800ლარი.
- დიალიზისა და თირკმლის ,,ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით" გათვალისწინებული ტრანსპორტირების ყოველთვიური თანხა- 200 ლარის ოდენობით. დახმარების პროგრამაში 2023-წელს ჩართული იყო16--ბენეფიციარი, რაზეც დაიხარჯა 38400-- ლარი.
- ონკოდაავადებულ ბენეფიციართა ყოველთვიური ფულადი დახმარებას 100 ლარის ოდენობით ბენეფიციარებს ერიცხებოდათ პირად ანგარიშზე. ხოლო 2018 წლის აგვისტოს თვეში დებულებაში ცვლილების შეტანის შემდეგ ბენეფიციარების მათი მდგომარეობის საჭიროებიდან გამომდინარე, ონკოლოგიური მიმართულებით ყველა სახის სამედიცინო მომსახურეობის ხარჯების დაფინანსება განისაზღვრა1200-ლარით.2023 წელს პროგრამაში ჩართული იყო181 - ბენეფიციარი და დაიხარჯა 143612-ლარი.

  - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებული და ეტლს მიჯაჭვულ კატეგორიას 2023 წელს ერთჯერადად გაიცა 1 ბენეფიციარის მიმართ 700 ლარის ოდენობით.

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირის ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარი.2023 წელს დახმარება გაეწია ორ ბენეფიციარს,რაზეც დაიხარჯა 300 ლარი.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით. 2023 წელს დახმარება გაეწია 309 ვეტერანს, რაზეც დაიხარჯა 30900- ლარის ოდენობით.
- უნგრეთის, ავღანეთის ომის მონაწილე ვეტერანების და ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოებზე მონაწილე
- დაზარალებულ ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით .2023 წელს დახმარება გაეწია 16- ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 1600 ლარი,
- დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა და ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი გარდაცვლილის ოჯახებზე 250 ლარის ოდენობით , დახმარება გაეწია 7-ოჯახს- რაზეც დაიხარჯა 1750-ლარი.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ ვეტერანთა ოჯახებზე ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. 2023 წელს დახმარება გაეწიო დაღუპული ვეტერანის 11 ოჯახს. პროგრამაზე დაიხარჯა 5500 ლარი.
- 2021 წლის აგვისტოს თვეში დებულებაში შევიდა ცვლილება პირველი ჯგუფის უსინათლო (მკვეთრი შეზღუდვა) პირებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 52- ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 31200-ლარი.
  შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატის (აპარატის სადენის, კვების წყარო, საშრობი ტაბლეტის) თანადაფინანსების პროგრამა. გამოყოფილი იყო 500 - ლარი. დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 1500 -ლარი.
- პროგრამაში ჩართული იყო 0-დან 18-წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული ბავშვები,მათი ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრა 250-ლარით.დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს და დაიხარჯა18000-ლარი
- პროგრამაში ჩართული იყო 0-დან 18-წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვები,მათი ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრა 250-ლარით.დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს და დაიხარჯა18000-ლარი
- 2023 -წელს სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერების პროგრამა. პროგრამაზე გამოყოფილი იყო ერთ ბენეფიციარზე 1500 ლარი. 2023 -წელს დახმარება გაეწია 3-ბენეფიციარს და დაიხარჯა 4500-ლარი.
- მშობელთა მზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვის კანონიერ წარმომადგენელზე ერთჯერადი ფულადი დახმარება 300-ლარის ოდენობით.დახმარება გაეწია 5 ბენეფიციარს და დაიხარჯა 1500-ლარი.
- 15-წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებული შშმ .პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურეობის ფულადი დახმარება 300-ლარის ოდენობით.დახმარება გაეწია 2-ბენეფიციარს და დაიხარჯა 600-ლარი.

- 0-დან 15-წლამდე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების ყოველთვიური დაფინანსება განისაზღრა 200-ლარის ოდენობით.დახმარება გაეწია 14 ბენეფიციარს და დაიხარჯა 26800-ლარი.

- დღეის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დღის 2-რი ცენტრი, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით ყოველთვიურად ტრანსპორტირებისათვის ეხმარება 1000 ლარის ოდენობით. აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 24000- ლარი

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული სფერო

1. **კულტურა**

მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საქმიანობა კულტურის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. მერია მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას. მინდა აღვნიშნო, რომ არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიება განხორციელდა, რომლის მიზანი იყო მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების აღმავლობა და განვითარება. პირველ რიგში, მინდა შევეხო ხონის თეატრალურ ცხოვრებას, რომელსაც, ჩვენდა საამაყოდ, 159 წლიანი ისტორია გააჩნია და დღემდე ღირსეულად აგრძელებს ამ ტრადიციას. თეატრის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად იმართება რეგიონული თეატრალური ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი 2023“. აღნიშნულ ფესტივალზე ხონის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით ,,მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ (რეჟისორი: თორნიკე სულაბერიძე). დასის ყველაზე ახალგაზრდა წევრმა მარიამ მელაძემ დაიმსახურა პრიზი ნომინაციაში -,,ქალის საუკეთესო ეპიზოდური როლი“. ასევე, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ხონის კულტურის ცენტრში, ცენტრის სახალხო დასმა წარმოადგინა პოლიკარპე კაკაბაძის პიესა ,,ყვარყვარე თუთაბერის“ ადაპტირებული ვერსია (რეჟ. პეტრე ჩარგეიშვილი), რომელიც პოლიკარპე კაკაბაძის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. კულტურის ცენტრში ნაყოფიერად ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, რომელმაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი და თეატრალური პერფორმანსი განახორციელა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოწვეულმა მხატვარ-რეჟისორმა, საქართველოს თოჯინური გაერთიანების შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელმა სამდღიანი მასტერკლასი ჩაუტარა ცენტრის მხატვარსა და მსახიობებს პროფესიულ საკითხებში. ასევე უნდა აღინიშნოს კულტურის ცენტრში განხორციელებული არაერთი საინტერესო ღონისძიება, მათ შორის: ხონელი პოეტების - ედუარდ უგულავასა და ნია გორდელის შემოქმედებითი საღამოები, სახალხო სასულე ორკესტრის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი ბუკლეტის პრეზენტაცია, ლიტერატურული თეატრის მიერ განხორციელებული ლიტერატურული კომპოზიცია ,,იერიქონის ვარდები“, რომელიც წმინდა მოწამე გრიგოლ ფერაძის ცხოვრებას მიეძღვნა.

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ა(ა)იპ სამუსიკო სკოლაში, სადაც ფუნქციონირებს საფორტეპიანო, სიმებიანი (გიტარა) და საორკესტრო (საყვირი, საქსოფონი) განყოფილებები. 2023 წლიდან დაემატა ფოლკლორული განყოფილება, სადაც მოსწავლეები შეისწავლიან ხალხურ საკრავებზე დაკვრას. სულ სკოლაში მუსიკალურ განათლებას იღებს 269 მოსწავლე. საანგარიშო პერიოდში, არსებული სასწავლო პროგრამების შესაბამისად, ჩატარდა დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, შემაჯამებელი ღია აკადემიური კონცერტები, წარმატებულ პედაგოგთა კლასის კონცერტები. აღსანიშნავია, ვ.შიუკაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ფესტივალში ანსამბლ,,მძლევარის“ წარმატებული მონაწილეობა, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა;

სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამხატვრო სკოლაში, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ გამოფენებში. სამხატვრო სკოლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში. ამჟამად, აკადემიაში ხონის სამხატვრი სკოლის 10 კურსდამთავრებული სტუდენტი სწავლობს. სკოლას აქვს საგამოფენო სივრცე, რაც კიდევ უფრო ზრდის და ხელს უწყობს სასწავლო, სააღმზრდელო და შემოქმედებითი პროცესის განმტკიცებასა და განვითარებას. სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, კერამიკა, თექა (ხალხური რეწვა). სკოლაში სახვითი ხელოვნების მიმართულებით განათლებას იღებს 120 მოსწავლე, სასწავლო პროცესს უძღვება 7 პედაგოგი.

საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერად და წარმატებით მუშაობდა ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პოლიკარპე კაკაბაძის, ირაკლი აბაშიძის სახლ - მუზეუმები და საბრძოლო დიდების მუზეუმი. დღეისათვის მუზეუმის ფონდების საერთო რაოდენობაა - 24450. მუზეუმში ვიზიტორთა რაოდენობა

ყოველწლიურად იზრდება და წლის ბოლოსათვის 2 ათასს მიაღწია. ახალგაზრდობასთან დაახლოების მიზნით ჩამოყალიბდა სხვადასხვა სკოლიდან შერჩეული (სულ 20 ბავშვი, 4 შ.შ.მ. პირი) მოსწავლეების გუნდი ,,მუზეუმელები". ახალგაზრდებმა მიზნად დაისახეს თანატოლებში მუზეუმის პოპულარიზაცია, ხონის ისტორიის, მისი წარსულისა და აწმყოს შესწავლა. არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა ისტორიულ მუზეუმში, აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე, ისტორიული მუზეუმის ეთნოგრაფიულ ეზოში გამოიფინა მუზეუმის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტომასალა. ასევე, გამოიფინა ცნობილი ხონელი მხატვრის ლადო ქუთათელაძის ნამუშევრები, რომლებიც მისმა ქალიშვილმა, რუსუდან ქუთათელაძემ, ოჯახის წევრებთან ერთად ჩამოიტანა და საჩუქრად გადმოსცა მუზეუმს. მამის პორტრეტი - შესრულებული ცნობილი ხონელი მხატვრის კორნელი სანაძის მიერ, ასევე ლადო ქუთათელაძის ორი ნამუშევარი: ლინოგრავიურა და მამის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ალბომი. ეს წელი მუზეუმის ცხოვრებაში აღსანიშნავი იყო იმითაც, რომ ,,მუზეუმელთა ალიანსის" რიგით მეორე ღონისძიებაზე დაჯილდოვდა ავთანდილ ფაილოძე სამუზეუმო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მას მიაკუთვნეს ,,საუკეთესო მუზეუმელის" წოდება, გადასცეს სამკერდე ნიშანი და დაასაჩუქრეს ფულადი ჯილდოთი. გასული წელი საინტერესო იყო სამეცნიერო კუთხითაც. დაიწერა ცნობილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწე მათე ბახტაძის შესახებ მონოგრაფია, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ ,,განთიადში". ამავე ჟურნალში დაიბეჭდა პ.კაკაბაძისა და ხონის სასულე ორკესტრის შესახებ სტატია. გამოიცა ბუკლეტი ,,პოლიკარპე კაკაბაძე" (ავტორი ა. ფაილოძე), რომელიც მიეძღვნა მწერლის 130 წლისთავს. საანგარიშო პერიოდში საინტერესო და ნაყოფიერი იყო საბიბლიოთეკო ქსელის მუშაობა, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის 17 ბიბლიოთეკა. წლის მანძილზე ბიბლიოთეკები მოემსახურა 1133 მკითხველს, რომლებზეც გაცემულია 7685 წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. სააბონენტო განყოფილება შეივსო ახალი ავეჯითა და ახალი წიგნებით. ახალი ინვენტარით შეივსო საბავშვო განყოფილება, სოფლების: კუხისა და დედალაურის ბიბლიოთეკები. აღსანიშნავია, რომ ძმები არველაძეების ქველმოქმედებითა და ამერიკის საელჩოს თანადაფინანსებით ბიბლიოთეკა შეივსო 900 ლარის ღირებულების ახალი ლიტერატურით. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიება: წიგნის პრეზენტაცია და რეკლამა, პოეზიის საღამოები, ლიტერატურული კომპოზიციები, კინოჩვენებები, კითხვის დღე, ზღაპრის დღე, ღია კარის დღე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის. წლის ბოლოს შემაჯამებელი მუშაობის შედეგად სახელდება ,,წლის საუკეთესო მკითხველი", რომელიც ჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით. ბიბლიოთეკები გარკვეულ პოპულარიზაციას უწევენ ეროვნულ, დემოგრაფიულ, ქრისტიანულ - მართლმადიდებლური რელიგიისა და ზნეობრივი ფორმირების კუთხით არსებულ ლიტერატურას. განხორციელებული მუშაობის მთავარი მიზანია წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფა, ყველა თაობის განათლება და ღია სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკამ შეიძინა ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამა და მუშაობს ფონდის ელექტრონულ სისტემაზე გადასაყვანად.

საანგარიშო პერიოდში საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები განახორციელდა კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით: დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც გაიმართა ჯგუფ ,,ალილოს" კონცერტი, სადაც ადგილობრივ ქალბატონებთან ერთად მოწვეული იყვნენ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ქალბატონები; 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება. მასშტაბურად აღინიშნა ,,ხონელობის" სახალხო დღესასწაული, რომელმაც მოიცვა ქალაქის ტერიტორიის რამდენიმე ლოკაცია, წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახის გამოფენა, მათ შორის: ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა, ღვინის დეგუსტაცია, ყვავილების გამოფენა-გაყიდვა, სამხედრო ტექნიკის გამოფენა, მოეწყო ფოტოკონკურსი, დასახელდა საპატიო ხონელები, სხვადასხვა ლოკაციაზე გაიმართა კონცერტები ადგილობრივი და მოწვეული ბენდების მონაწილეობით.

ქართული სიმღერისა და ფოლკლორის პოპულარიზაციის მიზნით, ხონის შემოქმედებითი კოლექტივები ყოველწლიურად იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა კონკურსებსა და ფესტივალებში: ქართული ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი ,,არტ გენი", ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი, უნდა აღინიშნოს ხონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობა ანაკლიაში გამართულ ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალზე ,,მომავლის ხმები", სადაც 33-ი სალოტბარო სკოლას შორის ხონის სალოტბარო სკოლა ერთ-ერთ საუკეთესო სკოლად დასახელდა, აღსანიშნავია ხონის სალოტბარო სკოლის წარმატებული მონაწილეობა თბილისის ფოლკლორის ეროვნულ ცენტრში გამართულ კონცერტზე და ხონელი მოსწავლეებისა და თბილისური ანსამბლების ,,ბიჭები" და ,,დარიალი" ერთობლივი კონცერტები ხონის კულტურის ცენტრში. ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხონმა უმასპინძლა ფოლკლორის VIII საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდნენ პოლონეთის, თურქეთისა და ბულგარეთის შემოქმედებითი კოლექტივები. გაიმართა არაერთი საინტერესო მუსიკალური პროექტი, მათ შორის უნდა აღინიშნოს ,,ვიმღეროთ ერთად", სადაც ცნობილ მუსიკოს-

შემსრულებლებთან - მაია დათუნაშვილთან და დათო არჩვაძესთან - ერთად მონაწილეობდნენ ადგილობრივი ვოკალური სტუდიების აღსაზრდელები და სოლო-შემსრულებლები, ასევე, გაიმართა ლიტერატურულ - მუსიკალური კომპოზიცია ,,წუთისოფელი“, ლეგენდარული ანსამბლ ,,ქართული ხმების“ მონაწილეობით; რუსთაველის თეატრის გასტროლი სპექტაკლით ,,ძუნწი“.

მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებითა და ჩვენი ხელშწყობით არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი პროექტი განხორციელდა: საახალწლო-საშობაო ღონისძიება ხონის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ბენდებმა, ღონისძიება დატვირთული იყო არაერთი საახალწლო შოუ პროგრამით და აქტივობით, მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქციისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. ასევე, ხონის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა პროექტი ,,მუსიკალური საღამო ხონში", რომლის ფარგლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, თვითნასწავლ და პროფესიონალ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; დაინტერესებულ ბავშვებს ჩაუტარდათ ტანმოვარჯიშე ქეთი ხატიაშვილის მასტერკლასი. გაიმართა ინდივიდუალური შემსრულებლებისა და ჯგუფ ,,ქართული ხმების" კონცერტი. უნდა აღინიშნოს ასევე, პროექტი ,,მთის დღეები“, რომელიც გაიმართა სოფ. გორდში, დადიანების ტყე-პარკში, სადაც მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ჩატარდა ადგილობრივი კულინარიის მასტერკლასები-კერძების დეგუსტაცია. მოეწყო სხვადასხვა გასართობი თამაში (ველოტური, ზიპლაინი, მოლაშქრეების მასტერკლასი, მთაში პირველადი დახმარების სახალისო მასტერკლასები, სახალისო შეჯიბრებები); გაიმართა დაჯილდოების ცერემონია - ,,მთის დღეები 2023"; დიდ სცენაზე, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ჯგუფი ,,ჩვენებურები" და თიკა ბალანჩინი, ხოლო დღის ბოლოს, კოცონთან გაიმართა კონცერტი ,,თბილისური კვარტეტის" მონაწილეობით.

საანგარიშო პერიოდში ხონმა უმასპინძლა მაკ ჯორჯიას ,,თეატრალურ ფესტივალ 2023-ს“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. გორდის თეატრალურმა დასმა. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, აღნიშნული დასი დასაჩუქრდა 2-დღიანი ტურით ტაო - კლარჯეთში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ წარმატებებთან ერთად, არის გარკვეული პრობლემები, რომელიც ძირითადად შეეხება სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობისთვის არსებულ შენობებს, სარეაბილიტაციოა სასოფლო კლუბები, ბიბლიოთეკები, რაც გარკვეულწილად აფერხებს ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა მიმართულებით.

2. განათლება

საანგარიშო პერიოდში მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობისათვის ხელშეწყობა. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურაში ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება 20 საბავშვო ბაღი. აღსაზრდელი -646 , აღმზრდელი -73, აღმზრდელის თანაშემწე -35.

საანგარიშო პერიოდში სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი ბაგა-ბაღების გაერთიანებისათვის მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო. ხონი მოხვდა 20 საპილოტე მუნიციპალიტეტს შორის და დაიგეგმა ტრენინგები სახელწოდებით ,,ადრეული განათლების კურიკულუმი - თამაში“- დანერგვის სტრატეგიები. 20-ვე საბავშვო ბაღიდან თითო აღმზრდელი ჩაერთო ტრენინგში.

სკოლამდელ დაწესებულებებში განხორციელდა სასკოლო მზაობის ჯგუფების ახალი სტანდარტების ინსტრუქციების მიხედვით საშემოდგომო პროექტები. განსაკუთრებული იყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პროექტი -საბავშვო მუსიკალური წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქალაქის სამივე საბავშვო ბაღის მზაობის ჯგუფის აღსაზრდელებმა და 20-ზე მეტმა აღმზრდელმა. სამი სოფლის: ივანდიდის, ნახახულევის, ჩაის მეურნეობისა და ქალაქის N3 საბავშვო ბაღებმა მიიღეს საჭირო ახალი ინვენტარი სივრცეების უნივერსალური დიზაინის პრინციპით მოსაწყობად. ასევე, 17 სოფლის საბავშვო ბაღისათვის შეძენილი იქნა განმავითარებელი სათამაშოები.

2023 წელს აღმზრდელ -პედაგოგის პროფესიული განვითარების 66-საათიანი ტრენინგ მოდული გაიარა 25-მა აღმზრდელმა და გახდა სერთიფიცირებული.

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლე - ახალგაზრდობის ჩაბმის მიმართულებით საინტერესო მუშაობას ახორციელებდა ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, რომელიც თავისი სტრუქტურით ემსახურება ბავშვებისა და სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე განათლების მიღების საქმეს, რასაც ერთიანობაში ახალგაზრდა თაობის არაფორმალური განათლება ჰქვია.

მოსწავლეთა კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შესწავლას ემსახურება ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის ცენტრი. ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა დასაქმების აუცილებელი მოთხოვნაა. ცენტრში სწავლება მიმდინარეობს უფასოდ. ინფორმატიკის ცენტრი ეხმარება

მოსწავლეებს მარტივად მოიძიონ დამხმარე ინფორმაცია სასკოლო დავალებების შესასრულებლად და მარტივად განაგრძონ ურთიერთობა ახალ ციფრულ სამყაროში.

სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო პერიოდში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და განათლების მიღების საქმეს მრავალი მიმართულებით ემსახურება სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება - ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი. საანგარიშო პერიოდში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, მათ შორის უნდა აღინიშნოს ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება, სტუდია ,,ოქროს ხმების“ დაარსებიდან 10 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო, რომელიც საბანკეტო დარბაზ ,,პანორამას“ ღია სივრცეში გაიმართა.

მისასალმებელია, რომ ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ტარდება სოციალურ საგანმანათლებლო მედია პროექტი ,,ეტალონი“. კონკურსი ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. დარეგისტირებული იყო 260 მოსწავლე და მონაწილეობა მიიღო 219 მოსწავლემ. მეორე ეტაპზე გადავიდა 71 მოსწავლე. 2023 წლის ,,ხონის ეტალონი მოსწავლე“ გახდა III საჯარო სკოლის მე-XI კლასის მოსწავლე ნატა ჯაიანი.

3. სპორტი

მერიის ძალისხმევით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა აგვისტოს ომში დაღუპული მერაბ თუთისანის სახელობის ტურნირი კალათბურთში; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ფრენბურთში; საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მოყვარულთა ლიგის გათამაშება დიდ ფეხბურთში 11X11, მუნიციპალიტეტში გამარჯვებულმა გუნდმა - „მგლებმა“ მონაწილეობა მიიღო რიგიონულ პირველობაზე; ხონის მუნიციპალიტეტის გუნდი „ხონი“ მონაწლილეობას ღებულობდა დასავლეთ საქართველოს საფეხბურთო ტურნირ „BETLIVE MASTER LEAGUE-ის“ გათამაშებაში. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ომის ვეტერანებს შორის ტურნირი ნარდსა და შაშში. 17 ოქტომბერს, ვეტერანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა სპორტული შეჯიბრი ნარდსა და შაშში, ხოლო 23 ივნისს, ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ,,საფეხბურთო ფესტივალი ,,ხონი 2023“ (გოგონებს შორის). აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობას ღებულობდა სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გოგონათა საფეხბურთო გუნდები. გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მინიფეხბურთი, ფრენბურთი, გეზრბენი, კალათბურთი). აღნიშნულ ოლიმპიადაში მუნიციპალურ ეტაპზე გამარჯვებული სკოლის გუნდები მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონულ პირველობაზე, სადაც სსიპ აკაკი ჩხენკელის სახელობის ქ. ხონის N2 საჯარო სკოლის ვაჟთა გუნდმა 3x3 - ზე კალათბურთში დაიკავა პირველი ადგილი; ასევე, გაიმართა ვაკო დეისაძის სახელობის ტურნირი მინიფეხბურთში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი გამას ქამრის მფლობელი გახდა მუშტიკრივში მოასპარეზე ბაქარ გელენიძე.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა - 404 აღსაზრდელით, 23 მწვრთნელითა და 10 სახეობის სპორტული ჯგუფით. ეს ჯგუფებია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, კარატე, კარატე დო, კრივი, ტაეკვანდო, ძალოსნობა, ჭადრაკი და თავისუფალი ჭიდაობა. აღნიშნულ ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და ფესტივალებში, ასევე საერთაშორისო ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლემ მარიამ მურღვლიანმა მოიპოვა: მექსიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებში სამი ოქროს მედალი, ჩეხეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე 17 წლამდელთა შორის - სამი ვერცხლის მედალი, პოლონეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 17 წლამდელთა შორის - ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი და მოლდავეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის - სამი ოქროს მედალი; ასევე, სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლემ იაკობ ჩხეიძემ უნგრეთის ქალაქ კაპოშვარში ჩატარებულ 15 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა - მწვრთნელები მიხეილ ბალავაძე და გოჩა ახალაძე. საქართველოს ტაეკვანდოს ღია ეროვნულ ჩემპიონატზე პირველი ადგილები გაბრიელ გრიგოლიამ და ბარბარე ჯაიანმა დაიკავეს; სასპორტო სკოლის სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები გამარჯვებული არიან საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებსა და ფესტივალებში. სასპორტო სკოლის ინიციატივით ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, მათ შორის - სასკოლო ოლიმპიადა ასაკობრივ ჯგუფებში (სპორტის 6 სახეობაში), ასევე, გარდაცვლილი სპორტსმენების ხსოვნის ტურნირები შემდეგ სახეობებში: კონსტანტინე (ბაგა) ჩაკვეტაძის სახელობის - ფეხბურთში, ტარიელ (ტალიკო) ჯაფარიძის სახელობის _ კალათბურთში, ლერი და მამუკა ჩხენკელების სახელობის - მძლეოსნობაში, თამაზ გეგუჩაძის სახელობის - კალათბურთში. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი ,,იმერეთი“|.აღნიშნული კლუბი მონაწილეობას ღებულობდა რეგიონულ ლიგაში (ფეხბურთში). კლუბი დაფინანსდა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50 000 ლარით.

4. ახალგაზრდული საქმე

საანგარიშო პერიოდში გაიმართა იუმორისტული ფესტივალი მსკ-ი. ასევე, მოეწყო ფოტოკონკურსი „იპოს“ გამოფენა; 2023 წლის ეროვნულ გამოცდებზე ხონის მუნიციპალიტეტიდან ორმა ახალგაზრდამ (მარიამ სანოძემ და ლიზი ქურასბედიანმა - სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლა;) მოიპოვა სრული დაფინანსება (100% გრანტი). ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური პარლამენტის“ ორგანიზებით მარტვილის მუნიციპალიტეტში (სოფ. სალხინო) გაიმართა პროექტი „I see you - აღმოაჩინე საქართველო - მარტვილის მუნიციპალიტეტი“, სადაც ხონის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობას ღებულობდა - წარმატებული და სოციალურად აქტიური ახალგაზრდები. კინგსის მიერ იმერეთის მასშტაბით ჩატარებული ინტელექტის ოლიმპიადაში გამოვლინდა ხონის მუნიციპალიტეტიდან საუკეთესო შედეგის მქონე 3 წარმატებული მოსწავლე: გიორგი მეძველია, თორნიკე რუხაძე და ბარბარე ქუთათელაძე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ შეიქმნა „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული საბჭო“.

5. ტურიზმი

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანია, რომ ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის ტრენინგი - ,,სოფლის ტურიზმი და ტურისტული მომსახურების თავისებურებები სოფლად“, რომელიც მიზნად ისახავდა რეგიონებში კონკურენტუნარიანი მომსახურების განვითარებასა და ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა და დასაქმების მსურველთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ასევე, უნდა აღინიშნოს ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციისა“ და ,,იმერული ღვინის ასოციაციის“ თანამშრომლობის ფარგლებში ტრენინგ - კურსი ადგილობრივი მეღვინეების გადამზადებისათვის,

ჩვენი მონაცემებით 2023 წელს ტურისტულ ზონებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა: ოკაცეს კანიონი - 48718, კინჩხის ჩანჩქერი - 6731